თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2989745

ნომერი: AR1461641

თარიღი : 06.12.2016

გაცემის თარიღი : 09.12.2016

გაცნობის თარიღი : 09.12.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მ. ზიჩი , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯანიაშვილი პ/ნ 01017033100
- თბილისი ი.გოგებაშვილის I გას. N 25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა

დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

სამსახურში განხილული იქნა თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, მ. ზიჩის ქ. N9–ში მდებარე შენობის პირველ სართულზე ღია ავტოსადგომების ამოშენებაზე I კლასის თანხმობის გაცემას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები თავისი მახასიათებლებით არ განეკუთვნება I კლასის სამუშაოებს, რის განხორციელებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას, და საჭიროებს პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა დაარეგისტრიროთ შესაბამისი განაცხადი და ატვირთოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.
ამასთან გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის N882013111443, მომზადების თარიღი 21.03.2013წ.) საკადასტრო კოდით N 01.15.05.044.013 მიხედვით სარეკონსტრუქციო ობიექტი წარმოადგენს მშენებარეს.
იმ შემთხვევში, თუ სარეკონსტრუქციო შენობა მიღებულია ექსპლუატაციაში, საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად საჭირო იქნება ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა ან/და ამონაწერის განახლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, განაცხადის რეგისტრაცია უნდა მოხდეს შეთანხმებული პროექტის კორექტირების ნომენკლატურაში და წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.